

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს**  
**ა ნ გ ა რ ი შ ი**  
**2015 წელს განხორციელებული ძირითადი საქმიანობების შესახებ**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტი 2015 წელს ოფისის „უკანა ხაზის“ ((back office) მოწესრიგება, სივრცითი ინფორმაციისა და გეოდეზია-კარტოგრაფიის სფეროს განვითარება იყო. ამ მიზნით სააგენტომ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელა, რომლის შედეგი პირდაპირ აისახა როგორც მომხმარებელზე, ისე ქვეყნის სტრატეგიული დარგების განვითარებაზე.

**სარეგისტრაციო სამსახურების ცენტრალიზება:**

ერთიანი სარეგისტრაციო პრაქტიკის ჩამოყალიბების, სიახლეთა იმპლემენტაციის, სისტემის ერთიან სტანდარტზე გადასვლის და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გრძელდება ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ცენტრალიზაცია:

- ნაწილობრივ დასრულებულია ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების გამსხვილება რეგიონულ დონეზე, კერძოდ, ნაცვლად არსებული 64 ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურისა, რომლებიც ასრულებენ როგორც ოფისის „წინა ხაზის“ (front office), ისე რეგისტრაციის ფუნქციას, საბოლოოდ გაერთიანდება 8 რეგიონულ სარეგისტრაციო სამსახურში, რომელიც შეითავსებს რეგისტრაციის ფუნქციას მთელი საქართველოს მასშტაბით. რაიონებში დარჩენილი სარეგისტრაციო სამსახურები შეასრულებენ მხოლოდ „წინა ხაზის“ (front office) ფუნქციას. ამ ეტაპზე დასრულებულია სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, აჭარის რეგიონული ოფისების ცენტრალიზება, ნაწილობრივ დასრულებულია იმერეთის, სამეგრელოს, ქვემო ქართლის და გურიის რეგიონების სარეგისტრაციო სამსახურების ცენტრალიზება. პროექტის დასრულება 2016 წლის ბოლოს დასრულდება.
- პარალელურად მიმდინარეობდა თბილისის სარეგისტრაციო განყოფილებების უფლებამოსილების გაფართოება რეგისტრაციის თვალსაზრისით, კერძოდ, თბილისის სარეგისტრაციო განყოფილებები, გარდა თბილისის სარეგისტრაციო ზონაში არსებული უძრავი ქონებისა, უკვე აწარმოებენ მცხეთის, დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, გარდაბნის, მარნეულის, მესტიის და წალკის სარეგისტრაციო ზონებში არსებული ქონების რეგისტრაციას.
- 2015 წლიდან უძრავ ნივთებზე სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლების რეგისტრაცია, მშენებარე უძრავ ნივთებზე უფლებების და ვალდებულებების რეგისტრაცია და საინფორმაციო მომსახურება მთელი ქვეყნის მასშტაბით ცენტრალიზებულად, თბილისში ხორციელდება.
- დასრულდა საინფორმაციო მომსახურების ცენტრალიზების პროცესი, რამაც, ერთი მხრივ, გაზარდა სააგენტოს მუშაობის ეფექტურობა, მეორე მხრივ კი, მომხმარებლისთვის მიწოდებული ინფორმაციის ხარისხის გაზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი.
- გარდა სტრუქტურული დაყოფისა, რეგიონებში მოხდა ფუნქციათა შინაარსობრივი დაყოფა/გადანაწილება, კერძოდ, გაიმიჯნა ოთხი ძირითადი ფუნქცია: მიღება, რეგისტრაცია, საინფორმაციო მომსახურება, იურიდიული. ფუნქციათა დაყოფამდე, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე თანამშრომელი ასრულებდა როგორც მიღების, ისე რეგისტრაციის და საინფორმაციო მომსახურების ფუნქციას, რაც თავისთავად ვერ უზრუნველყოფდა ვერცერთი მიმართულების სათანადო ხარისხით შესრულებას. დღეის მდგომარეობით, თანამშრომლების ფუნქციები ზუსტად არის გაწერილი და მათი რეალური საქმიანობის მიხედვით გადანაწილებული.

- პარალელურად ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ხორციელდება შესაბამისი მხარდაჭერი პროგრამების შემუშავება, კერძოდ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ავტომატურად, პროგრამულად გადანაწილების ფუნქცია რეგისტრატორებისთვის.

### **არქივების ცენტრალიზება და ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნა/დიגיტიზაცია**

ოფისების „უკანა ხაზის“ მოწესრიგების მიმართულებით სხვა მნიშვნელოვანი პროექტები მიმდინარეობს. 2015 წლის ბოლოს დასრულდა ქაღალდზე შესრულებული დოკუმენტების არქივების ცენტრალიზების პროექტი. ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებული ქაღალდის დოკუმენტაცია მთლიანად ლილოში მდებარე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის შენობაში განთავსდა (ტექნიურის, სამეწარმეო რეესტრის, უძრავ ქონებაზე უფლებათა რეესტრის, ყადაღისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკისა და კანცელარიის დოკუმენტაცია). ლილოს არქივში საჯარო რეესტრის ქაღალდის არქივმა დაიკავა ფართობის 70 %, ხოლო დარჩენილი 30 % დროთა განმავლობაში შეივსება მიმდინარე სარეგისტრაციო დოკუმენტაციით.

არქივების ცენტრალიზებამდე დოკუმენტაცია არასტანდარტულად იყო აღწერილი, უსაფრთხოდ შენახული და დაცული არ იყო, დოკუმენტაცია გაფანტული იყო, რაც, სხვა პრობლემებთან ერთად, მისი გაყალბების ან დაკარგვის შესაძლებლობას ქმნიდა.

ცენტრალიზების შედეგად სააგენტომ ერთ წერტილში და უსაფრთხოდ თავმოყრილი საარქივო მასალა, დოკუმენტებისა და მონაცემების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა, დოკუმენტების ძებნის სრული ელექტრონული არქივი, სრული და უტყუარი მონაცემთა ბაზა, ნაკლები ხარვეზები სარეგისტრაციო და საინფორმაციო მომსახურებაში, საკუთრების უფლების დაცვის მიზნით მაღალი სტანდარტების დანერგვა და მონაცემთა უტყუარობა მიიღო.

### **ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნისა და დიგიტიზაციის პროექტი**

მიმდინარეობს ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების განახლების პროექტი, რომელიც 4 მიმართულებით ხორციელდება: ტექნიურის არქივი, უძრავ ნივთებზე უფლებათა, სამეწარმეო და შეზღუდვების რეესტრები.

- პროექტის ფარგლებში, 42 რაიონში დასრულდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული რეგისტრირებული მონაცემების სრული ისტორიის ერთიან ელექტრონულ ბაზაში განთავსება და ელექტრონული სააღრიცხვო ბარათების შექმნა, რომელიც შემდეგ ინფორმაციას მოიცავს: სამართლებრივად ვის სახელზეა რეგისტრირებული უძრავი ქონება, სხვადასხვა დროს ვინ იყო მისი მფლობელი, რა ვალდებულებებით იყო და არის დატვირთული (იპოთეკა, იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი და ა.შ.).

პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო რეესტრის ისეთი სტრატეგიული ამოცანების შესრულებას, როგორცაა: მონაცემთა ბაზებში ინფორმაციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციისა და რეგისტრირებული უფლებების გამარტივებული ხელმისაწვდომობა, ოფისების „უკანა ხაზის“ ცენტრალიზების ხელშეწყობა/ერთიანი სარეგისტრაციო პოლიტიკის შემუშავება, რეგისტრაციის სწრაფად და ხარისხიანად წარმოება, სარეგისტრაციო მონაცემებში არსებული ხარვეზების გამოვლენა, დისტანციურად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, სრულყოფილი და ზუსტი სტატისტიკური მონაცემების შექმნა, ქაღალდის დოკუმენტაციის დაცვა დაზიანება/განადგურებისგან.

- დაიწყო ინდივიდუალურ მეწარმეთა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა-სისტემატიზაციისა და ელექტრონული არქივის შექმნის პროექტი. ელექტრონულ ფორმატში 267 970 საქმეა გადატანილი. მთელი საქართველოს მასშტაბით დამუშავებულია და ვებგვერდზე განთავსებულია საქართველოს ყველა რეგიონში რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეთა მონაცემები. მიმდინარეობს თბილისის მასშტაბით რეგისტრირებული სუბიექტების მონაცემების დამუშავება.

## ქონების რეგისტრაცია

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლა ახალ რეგულაციებს დაექვემდებარა. 2015 წლის 30 ივლისიდან მოქალაქეთა განცხადებებს მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში შექმნილი სპეციალური კომისია იხილავს. ახალი რეგულაციების ამოქმედება ხელს უწყობს საქართველოს, როგორც მცირემიწიანი ქვეყნის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მაქსიმალურად მიზნობრივად და რაციონალურად გამოყენება-ათვისებას.
- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაიწყო „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საპილოტე პროექტს 12 სოფელში (48000 მიწის ნაკვეთი), კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო მიწების პირველად საკადასტრო და სარეგისტრაციო სამუშაოებს.
- ✓ შემუშავდა მიწის სისტემური რეგისტრაციის საპილოტე პროექტის სტრატეგია.
- ✓ მომზადდა კანონპროექტი „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთზე უფლებათა რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“.
- ✓ პროექტისთვის მომზადდა საკომუნიკაციო სტრატეგია, რომლის განხორციელებაც პროექტის დაწყებისთანავეა დაგეგმილი.
- ✓ საპილოტე პროექტის შედეგების საფუძველზე, შემუშავდება ქვეყნის მასშტაბით მიწის რეგისტრაციის პროგრამის განხორციელების შესაბამისი მეთოდოლოგია, რეკომენდაციები და ეროვნული სტრატეგია.

## ბიზნესის რეგისტრაცია

- ახალი რეგულაციები ამოქმედდა სურსათის, ცხოველის საკვების, მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარიის სფეროში. პირს, რომლის საქმიანობა სურსათის, ცხოველის საკვების, ცხოველის, მცენარის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტების, ვეტერინარული პრეპარატის, პესტიციდის, აგროქიმიკატის წარმოებას, გადამუშავებას, დისტრიბუციას, აგრეთვე, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში მომსახურებას უკავშირდება, ბიზნესოპერატორად დარეგისტრირების ვალდებულება დაეკისრა.
- საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლების დასაცავად ახალი რეგულაციები ამოქმედდა. მეწარმე-სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც საზღვარგარეთ შრომით მიგრაციასთანაა დაკავშირებული, რეგისტრაციას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაივლიან.
- ბიზნესის დაწყების პროცედურების გამარტივების, საინვესტიციო გარემოს ოპტიმიზაციის, ეროვნული რეგულაციებისა და შესაძლებლობების ევროპულ სტანდარტთან შესაბამისობის, სარეგისტრაციო პროდუქტების მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, ელექტრონული მმართველობის კონცეფციის ფარგლებში, 2015 წლის განმავლობაში შემუშავდა მნიშვნელოვანი პროექტები და დაიგეგმა მათი განხორციელების გზები:

✓ რეგისტრაცია ელექტრონული წესდებით - ბიზნესის დაწყების პროცედურის გამარტივების მიზნით განხორციელდება ახალი პროექტი „ე-რეგისტრაცია“, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ ოფისში მისვლის გარეშე, ინტერნეტის მეშვეობით უზრუნველყოფს სუბიექტის რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენას.

✓ ელექტრონული კრება კომპანიაში - პროექტი გულისხმობს ელექტრონული პორტალის ფუნქციონალის შექმნას, რომელიც შესაძლებელს გახდის რეგისტრაციას დაქვემდებარებული სუბიექტების მართვის ორგანოთა კრებების მოწვევა და ჩატარება მოხდეს ელექტრონულად. შედეგად, უზრუნველყოფილი იქნება გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი აღსრულების ელექტრონული და სწრაფი საშუალება, რომლის მეშვეობითაც გარემოებების შემოწმება და მათი ნამდვილობის დადგენა გამარტივებული იქნება მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.

✓ „ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრი“ - პროექტი უზრუნველყოფს სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული საქმიანობის სისტემურ აღრიცხვას, ინფორმაციის განახლებას და საჭირო მონაცემებით აღჭურვას. პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ეკონომიკური საქმიანობის ბაზრის კვლევას, ეფექტური პოლიტიკის დაგეგმვას, უზრუნველყოფს უტყუარი სტატისტიკის წარმოებას ქვეყანაში.

## გეოდეზია-კარტოგრაფია

2015 წელს დაიწყო გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დარგის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება: საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით შემუშავდა მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც დაიგეგმა და ხორციელდება დარგისთვის მნიშვნელოვანი პროექტები:

- ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით დაიწყო ახალი პროექტი “რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის - საქართველოს ორთოფოტო”, რომლის მიზანია საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიფაროს ახალი აეროგადაღების საფუძველზე ორთოფოტოგეგმებითა და კარტოგრაფიული მასალით. ინტერნეტტექნოლოგიის გამოყენებით, აღნიშნული მასალა ხელმისაწვდომი გახდება სხვადასხვა დარგის საქმიანობის დაგეგმვისა და განვითარებისთვის. აღნიშნული მასალა მნიშვნელოვანი საფუძველია NSDI სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის.

- პროექტის ფარგლებში, უკვე განხორციელდა მდინარე ვერეს აუზის 200 კვ.კმ ტერიტორიის აეროფოტოგადაღება, რომელიც დაინტერესებულ უწყებებს ზარალის დათვლასა და მომავალი საფრთხეების შესწავლაში დაეხმარა.

- განხორციელდა ზუგდიდისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის, მათ შორის, აფხაზეთის საზღვართან მდებარე არეალის (1134 კვ.კმ-ის) კოსმოსური გადაღება. მიღებული ორთოფოტოები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია დეტალურ, ზუსტ ტოპოგრაფიულ მონაცემებს აერთიანებს.

- საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ქვეყნის აეროგადაღებები უპილოტო საფრენი აპარატის გამოყენებით დაიწყო. „დრონის“ დახმარებით, შესაძლებელია მცირე მასშტაბის ტერიტორიების ოპერატიული გადაღება და ახალი ტოპოგრაფიული მონაცემების კიდევ უფრო სწრაფად და მაღალი ხარისხით მიღება. უპილოტო საფრენი აპარატის მეშვეობით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, როგორც ქვეყნის გეოდეზიურ-კარტოგრაფიული საქმიანობის განმახორციელებელი მთავარი ორგანიზაცია, შეძლებს კიდევ უფრო მარტივად აწარმოოს მაღალი ხარისხის მონაცემები, მოქნილად და სისტემატურად განახლოს ისინი, ოპერატიულად დააკმაყოფილოს საკუთარი თუ სხვა უწყებების მოთხოვნები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია

თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების, კრიზისების მართვის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ენერგეტიკის, საინჟინრო და ინფრასტრუქტურული დარგებისთვის.

- 80-იანი წლების შემდეგ სახელმწიფო სანიველირე ქსელის აღდგენა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით დაიწყო. პროექტის მოსამზადებელ ეტაპზე სააგენტომ სანიველირე ქსელის რეპერების მოკვლევის სამუშაოები შეასრულა. მოხდა 2044 წერტილის მოძიება და მათი მდგომარეობის შესწავლა. მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ რეპერებისა და მარკების დიდი ნაწილი განადგურებული ან დაზიანებულია. შენარჩუნებულია მხოლოდ 35 %. პროექტის მეორე ეტაპი სანიველირე ქსელის წერტილებისთვის ადგილების შერჩევას, ამ ადგილებზე გეოდეზიური მარკების დამაგრებას და უშუალოდ ქსელის მუშაობის აღდგენას მოიცავს. უკვე დამზადდა 500 ყამირის და 500 კედლის რეპერი, რომელიც გამოყენებული იქნება სანიველირე ქსელის აღდგენით სამუშაოებში.

- დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ქართული ეროვნული გეოდეზიური მარკა შეიქმნა, რომლითაც სახელმწიფო სანიველირე ქსელის რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში, გეოდეზიური წერტილებისა და სიმაღლური მოდელის აღნიშვნა მოხდება. ამავე ნიშნებით ჩანაცვლდება ძველი მარკებიც, რომლებზეც საბჭოთა პერიოდის, რუსული წარწერებია განთავსებული.

- შეიქმნა ისტორიული ტოპოგრაფიული რუკების ელექტრონული არქივი. გეოდეზია-კარტოგრაფიის ფონდში ქაღალდის სახით შენახული რუკების ნაწილი (1:2000 და 1:5000 მასშტაბის მონაცემების უნიკალური 1550 რუკა) თითო ეგზემპლარად იყო შემორჩენილი. რუკები მაღალი რეზოლუციით დასკანირდა, კოორდინატთა სისტემას მოერგო და ელექტრომატარებლებზე ჩაიწერა. შეიქმნა ელექტრონული კატალოგი, რომლის დახმარებით სასურველი რუკის მოძიება ნომენკლატურის მიხედვით მარტივად ხდება. რუკების ელექტრონული ვერსიები ეტაპობრივად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - [www.reestri.gov.ge](http://www.reestri.gov.ge) - იტვირთება და ნებისმიერი მსურველისთვის ხელმისაწვდომი ხდება.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქართული ციფრული ტოპოგრაფიული რუკის შექმნაზე მუშაობს. ამ დროისთვის უკვე შერჩეულია 600 ქართულენოვანი, უნიკალური კოდის მქონე პირობითი ნიშანი, რომელიც საბჭოთა პერიოდის შემდეგ პირველად შეიქმნა, აგრეთვე მომზადდა პირველი ქართული კლასიფიკატორი, ციფრული სტანდარტი Georgia\_10 000 „STYLE“, რომლის საშუალებითაც ციფრული ტოპოგრაფიული რუკის კარტოგრაფიული გაფორმება მოხდება.

## სივრცითი ინფორმაცია

- ეროვნული სივრცითი ინფორმაციის შექმნის პროექტი (NSDI) აქტიურ ფაზაში შევიდა. საქართველო პირველი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, რომელმაც ევროპულ სტანდარტებთან თავსებადი ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნაზე მუშაობა დაიწყო, რაც ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. NSDI ქვეყნის სივრცითი დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს (მაგ.: სახელმწიფო პროექტი „საქართველო 2030“). მის გარეშე შეუძლებელია სწორი, ოპერატიული, სანდო და კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღება, რასაც მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს.

- მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით გეოინფორმაციულ სფეროში მოქმედი სუბიექტების და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ამოქმედდა NSDI-ის ვებგვერდი <http://www.nsd.gov.ge>, რომელიც სატესტო რეჟიმში მუშაობს. ამავე ვებგვერდზე ჩაშენებული გეოპორტალი 2016 წელს ამოქმედდება, რაც სისტემის მომხმარებლებისათვის მონაცემებზე წვდომის ძირითადი წერტილი იქნება.

- NSDI-ის არსის და სარგებლის უკეთესად განმარტების და პოპულარიზაციის მიზნით, შემუშავდა პროექტის 3-წლიანი საკომუნიკაციო სტრატეგია და 1-წლიანი სამოქმედო გეგმა.

- მომზადდა ევროპულ კანონმდებლობასთან თავსებადი სივრცითი მონაცემების სფეროს მარეგულირებელი კანონპროექტის და მეტამონაცემების წარმოებისა და გამოყენების სტანდარტის პირველი ვერსია.

- ზემოაღნიშნული აქტივობების პარალელურად, მიმდინარეობს ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი პროგრამა - პილოტპროექტი ქ. გორში, რომლის მიზანს წარმოადგენს მუნიციპალურ დონეზე სტანდარტიზებული გეოგრაფიული მონაცემების წარმოება, გამოყენება და გაზიარება, ასევე, იმ ტექნიკური სტანდარტების, რეგლამენტების, ინსტრუმენტებისა და მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების ტესტირება და ანალიზი, ხარვეზების და უპირატესობების შეფასება, რომლებიც მომზადდება სხვადასხვა თემატიკის დარგობრივი გეოგრაფიული მონაცემების ციფრული წარმოების სტანდარტიზაციის მიზნით.

- საპილოტე პროექტის ფარგლებში, დასრულდა გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრის დაზუსტება და დემარკაცია, დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემების დაზუსტება, სატრანსპორტო ქსელის, ქუჩების სახელწოდებების, საგზაო ნიშნების ციფრულ ფორმატში გადატანა, საკადრო რესურსის გადამზადება გეოინფორმაციული სისტემებისა და სხვა აზომვების წარმოების მიმართულებებით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოდერნიზება-გამლიერება.

- დაიწყო პოპულაციის, ჰიდროგრაფიული ქსელის, ვეგეტაციის, სახელმწიფო სერვისების, ინტერესის ობიექტების შეგროვება, აღწერა, კორექტირება და საერთო მონაცემთა ბაზაში ინტეგრაცია.

- ნავიგაციის პროექტის ფარგლებში, განხორციელდა საავტომობილო გზათა ქსელის დიגיტილიზაცია. გზის საერთო სიგრძიდან, რაც 200 000 კმ-ს აჭარბებს, 60 % ციფრულ ფორმატში გადატანილია. მათ შორისაა მაგისტრალური გზები, აღმოსავლეთ საქართველო სრულად.

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აქტიურად მუშაობს, რომ საქართველოს შესახებ ინფორმაცია Google-ის რუკაზე სრულყოფილად იყოს გამოქვეყნებული. ამ ეტაპზე რუკაზე განთავსებულია დაცული ტერიტორიები, ჰიდროგრაფიული ქსელი: მდინარეები, წყალსაცავები, ტბები, არხები, ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება, სარკინიგზო და მაგისტრალური გზები, დასახლებული პუნქტები და სხვა გეოგრაფიული ობიექტები.

- 2015 წელს Google-ის ინტერაქტიულ რუკაზე თბილისისა და გორის ყველა რაიონის სრული მონაცემები (შენიშვნა-ნაგებობა სამისამართო ნუმერაციით, გზათა ქსელით და სხვ.) განთავსდა.

- Google-ის ინტერაქტიულ რუკაზე 400-მდე ქართული ისტორიული ძეგლი განთავსდა.

- საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მუნიციპალიტეტების რეესტრის წარმოება დაიწყო. მუნიციპალიტეტები, მათში შემავალი დასახლებებით, დეტალურად რეგისტრირდება, რეგისტრირებული მონაცემის გეოგრაფიულ მონაცემად ტრანსფორმაცია და გეომონაცემთა ბაზაში ინტეგრირება ხდება. მუნიციპალიტეტების რეესტრში სულ 83 მუნიციპალიტეტია რეგისტრირებული (აქედან 12 თვითმმართველი ქალაქი, 64 თვითმმართველი თემი, 7 გაუქმებული მუნიციპალიტეტი). გეოგრაფიულ მონაცემად ტრანსფორმირდა და გეომონაცემთა ბაზაში ინტეგრირდა 3 737 ობიექტი.

## კადასტრი

- ამზომველთა საქმიანობაში ერთიანი საკადასტრო სტანდარტების დასანერგად, მომზადდა აზომვითი ნახაზის საჯარო რეესტრში წარსადგენი ახალი ტექნიკური სტანდარტი, რომელიც საამზომველო კომპანიებს დაავალდებულებს, აზომვითი საქმიანობები შესაბამისი ტექნიკური მახასიათებლებით აწარმოონ.

- საამზომველო საქმიანობის რეფორმის ფარგლებში, შემუშავდა ამზომველთა სასერტიფიკატო სასწავლო პროგრამის თემატიკა.

- გაერთიანდა უძრავი ქონების მონაცემთა ბაზები. უძრავი ქონების უფლებრივი და საკადასტრო ნაწილის რეგისტრაცია ერთიან პროგრამაში ხდება, რაც აღნიშნული პროცესის წარმოებისა და კონტროლის მექანიზმს მნიშვნელოვნად ამარტივებს, საკადასტრო სისტემას კი კიდევ უფრო თანამედროვესა და მოქნილს გახდის. უძრავი ქონების უფლებრივი და საკადასტრო ნაწილის

ინტეგრაციის შედეგად გაიზარდა სააგენტოს მიერ გაცემული მონაცემების სიზუსტე და ხარისხი. გარდა ამისა, დარეგულირდა მიწის ნაკვეთებს შორის სადავო სიტუაციების დადგენის საკითხიც. აღსანიშნავია, რომ სიახლეს თანამშრომლის მხრიდან შეცდომის დაშვების ალბათობა მინიმუმამდე დაჰყავს, შედეგად კი მოქალაქეები მაქსიმალურად გადამოწმებულ და ხარისხიან ინფორმაციას იღებენ.

- დაიწყო კადასტრის სამსახურის მიერ Reg-პროგრამაში საკადასტრო მონაცემების რეგისტრაცია, რომლის დახმარებით რეგისტრატორებისათვის ხელმისაწვდომია საკადასტრო მონაცემების, ტყის ფონდისა და სისტემური გრაფიკული მონაცემების ნახვა, შემოწმება, ასევე მათი ერთმანეთთან შედარება.
- მიმდინარეობს არქივში დაცული საკადასტრო მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადატანის პროექტი, რომელიც ელექტრონულ საკადასტრო რუკაზე ძველი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ადგილმდებარეობის იდენტიფიცირებას და მათი საზღვრების ასახვას გულისხმობს. საკადასტრო გეომონაცემთა ბაზაში უკვე 10200 მიწის ნაკვეთია განთავსებული. პროექტის განხორციელებით იმ მოქალაქეთა საკუთრების უფლება, რომლებმაც უძრავი ქონება კადასტრის ცენტრალიზებამდე დაარეგისტრირეს, გადაფარვებისგან თუ სხვა შემდგომი პრობლემებისგან დაცული იქნება. პროექტის დასრულება 2017 წლისთვის იგეგმება.
- 2015 წლის განმავლობაში ელექტრონულ საკადასტრო მონაცემებს 105614 ერთეული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემი დაემატა.

## **სამისამართო რეესტრი**

გრძელდება დამისამართების პროექტი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით სამისამართო სისტემის სრულყოფას და განვითარებას ხელს შეუწყობს. სამისამართო რეესტრის მოწესრიგების შედეგ, მოქალაქეებს უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცედურები მნიშვნელოვნად გაუმარტივდებათ, დასახლებულ პუნქტებში უსახელო გზები და ქუჩები აღარ იარსებებს, ხოლო კონკრეტული მისამართები მარტივად მისაგნები იქნება. ერთიანი სამისამართო სისტემა მჭიდრო კავშირშია დაზუსტებული, მუდმივად განახლებადი, საიმედო საარჩევნო სიის ფორმირებასთან.

- 2015 წლის მონაცემებით, დასრულებულია 20 ქალაქის დამისამართება. 2015 წელს მოხდა იმერეთის რეგიონში არსებული ყველა მუნიციპალიტეტის (11 მუნიციპალიტეტი) და აჭარის რეგიონში არსებული 3 მუნიციპალიტეტის (ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის) აღწერა-ინვენტარიზაცია, გეოგრაფიული ობიექტების იდენტიფიკაციის მიზნით.
- მიმდინარეობს თბილისში მისამართების სისტემური კორექტირება. 2015 წელს გასწორდა 3000-მდე სამისამართო ერთეული.
- გრძელდება ე.წ. „იტალიური ეზოების“ სისტემური ნუმერაცია. მიმდინარე წელს სისტემურად გადაინომრა 700-მდე იტალიური ეზო.
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის მომზადდა 250 ერთეული სამისამართო პროექტი, რომლის საფუძველზეც საკრებულოში არსებულმა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ უსახელო ქუჩებს სახელები მიანიჭა.
- თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურისთვის, სამისამართო აბრების შენობა-ნაგებობებზე განთავსების მიზნით, მომზადდა 47 ქუჩის ნუმერაციის სამისამართო პროექტი.
- 7 ქალაქში დასრულდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში მიმდინარე ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართებზე მოსახლეობის იდენტიფიკაციისას აღმოჩენილი შეუსაბამობების და უზუსტობების კორექტირება.

## **ყადაღა და საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა**

რეგისტრირებული მონაცემების ხარისხის კონტროლის ფარგლებში, მიმდინარეობს პროექტი, რომელის მიზანი „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებამდე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრებში რეგისტრირებული მონაცემების სისწორის გადამოწმება და აღნიშნული ჩანაწერების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანაა. საწყის ეტაპზე იდენტიფიცირებულია რეგისტრირებული ჩანაწერები, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებს შეზღუდვის/უფლების საგანთან თუ მის მესაკუთრესთან, სარეგისტრაციო დოკუმენტთან მიმართებით. 2015 წლის განმავლობაში განხილულ იქნა 2500-მდე პრობლემური ჩანაწერი. სასამართლოებთან, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და შემოსავლების სამსახურთან აქტიური თანამშრომლობის საფუძველზე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები რეგისტრირებულ მონაცემებში ტექნიკური ხარვეზისა თუ ცვლილების რეგისტრაციის თაობაზე, ასევე, რიგ შემთხვევებში - რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

### ელექტრონული მმართველობა

- გრძელდება დეს პროგრამის დანერგვა სახელმწიფო ორგანიზაციებში. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ დოკუმენტრუნვის ელექტრონული სისტემა 69 ორგანიზაციაში დანერგა, 2015 წელს პროგრამა 41 ორგანიზაციაში ამოქმედდა (მათ შორისაა თბილისის მერია და 10 გამგეობა, 14 რაიონული საკრებულო და გამგეობა და სხვა...). საქმისწარმოების ელექტრონიზაციამ უწყებებსა და მოქალაქეებს შორის ოფიციალური კორესპონდენციის მიმოცვლა გაამარტივა და ხელი შეუწყო ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის განვითარებას.
- საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის ელექტრონული პროგრამა - კონსოლიდირებული რეაგირების პორტალი შექმნა. პროგრამის დახმარებით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ორგანიზაციებს შორის კომუნიკაცია მთლიანად ელექტრონული გახდა, უწყებებთან ურთიერთობა გაამარტივდა.
- ამოქმედდა ადმინისტრაციული საჩივრებისა და სასამართლო საქმისწარმოების ერთიანი ელექტრონული პროგრამა. პროგრამა სრულად ასახავს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მოქალაქის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის და სასამართლოში გასაჩივრებული საქმისწარმოების პროცესს.
- საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ, სახელმწიფო ორგანიზაცია-დაწესებულებებს შორის ერთ-ერთმა პირველმა, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ISO 27001-ის დანერგვა დაიწყო. უსაფრთხოების სისტემის დანერგვის პროექტის ფარგლებში, სააგენტომ ვებგვერდზე განთავსებულ ელექტრონულ პროგრამებში ე.წ. "დამცავი კოდის" გამოყენება დაიწყო, რაც ინფორმაციის არასათანადოდ გამოყენების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს. პრაქტიკულად გამორიცხულია რობოტი პროგრამის მიერ დიდი რაოდენობით მოთხოვნების ავტომატური დაგენერირება, სისტემის გადატვირთვა და ლეგიტიმური მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიღებაში ხელის შეშლა.
- გრძელდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაფართოება და ავტომატიზაციის გაზრდა "ღრუბლოვანი" ტექნოლოგიების გამოყენებით. გაუმჯობესებული და გაზრდილი ინფრასტრუქტურის საფუძველზე გაიზარდა საჯარო რეესტრის ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურა მზად არის ისეთი მასშტაბური პროექტების განხორციელებისთვის, როგორცაა NSDI.
- საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ელექტრონული ინვენტარიზაციის პროგრამა ამოქმედდა. პროგრამა თანამშრომლებსა და სამეურნეო სამსახურს შორის კომუნიკაციას სრულად ავტომატიზებულს ხდის. სააგენტოში დასაქმებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ ელექტრონულ სააღრიცხვო ბარათზე არსებულ ინფორმაციას ნებისმიერ დროს ელექტრონულად გაეცნონ, ნახონ, რა სახის ინვენტარია მათთვის განკუთვნილი, გადაამოწმონ და შეადარონ მიღებული და მოთხოვნილი



ინვენტარის მახასიათებლების თანხვედრა, დაადასტურონ მოთხოვნილი ნივთის მიღება და გაეცნონ აღნიშნული ინვენტარის მფლობელთა ისტორიას.

### **მონაცემთა და ინფორმაციის ხარისხის კონტროლი**

მონაცემთა და ინფორმაციის ხარისხის კონტროლის მიმართულებით პერიოდულად მიმდინარეობს სხვადასხვა სამსახურების საქმიანობის შესწავლა, პრობლემური საკითხების გამოვლენისა და შესაბამისი რეკომენდაციებს შემუშავების მიზნით.

### **ავტორიზებული მომხმარებელი**

- გრძელდება საჯარო რეესტრის ავტორიზებულ მომხმარებლებთან თანამშრომლობა. 2015 წელს საჯარო რეესტრის მომსახურებებს 332 ავტორიზებული პირი ახორციელებდა (228 ნოტარიუსი, 17 ბანკი, 39 კომპანია, 5 სახელმწიფო ორგანიზაცია, 16 იუსტიციის სახლი, 27 საზოგადოებრივი ცენტრი).
- ავტორიზებული ნოტარიუსების მიერ 2015 წელს მომზადებული ამონაწერების რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, 101,37 %-ით გაიზარდა.
- 2015 წელს სწავლება/ტესტირება გაიარა 156 ავტორიზებულმა პირმა, მათ შორის 22 ნოტარიუსმა.

### **საერთაშორისო ურთიერთობები**

სააგენტოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს.

- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით, 2015 წელს სააგენტოში დაიწყო შემდეგი პროექტები:
  - ✓ ევროკავშირის პროექტი „კერძო და ადმინისტრაციული სამართლის სისტემის განვითარება საქართველოში“ (GIZ-ის „ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოების“ პროგრამის მიერ)
  - ✓ „მართვა განვითარებისთვის“ (G4G) – USAID
  - ✓ „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების“ პროექტის მიწის ბაზრის განვითარების კომპონენტი - WB
  - ✓ „მიწის საინფორმაციო სისტემის სანდოობა საქართველოში“ – Sida
  - ✓ „რუკები მიწის მდგრადი მართვისთვის: საქართველოს ორთოფოტო“ – ნორვეგიის მთავრობა
- გაფორმდა მემორანდუმი ბელარუსის კადასტრის ეროვნულ სააგენტოსთან.
- საფუძველი ჩაეყარა უკრაინის გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და კადასტრის სახელმწიფო სამსახურთან თანამშრომლობას.
- საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ EuroGeographics-ის ცოდნის ურთიერთგაცვლის ქსელის პოლიტიკის ჯგუფის შეხვედრას უმასპინძლა.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საერთაშორისო ორგანიზაციის "ევროპის მიწის შესახებ საინფორმაციო მომსახურების" (EULIS) ასოცირებული წევრი გახდა, შესაძლებლობა მიეცა EULIS-ის პორტალზე განათავსოს საქართველოში რეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ სრული ინფორმაცია.
- EuroGeographics-თან პარტნიორობის დახმარებითა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ძალისხმევით, საქართველოს გეოგრაფიული მონაცემები ევროპულ სივრცეში პირველად გავიდა. დღეს ეს ინფორმაცია ერთადერთია, რომლითაც ევროპული ინსტიტუტები საქართველოსთან მიმართებით ხელმძღვანელობენ.

- მიწის ადმინისტრირების სფეროში განხორციელებული რეფორმების გაცნობის მიზნით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ევროპის, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის 13 ქვეყნის დელეგაციას უმასპინძლა.

## **ინფრასტრუქტურული პროექტები**

გარემონტდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო ოფისები საქართველოს 12 ქალაქში (ხაშური, თერჯოლა, ნინოწმინდა, თეთრიწყარო, ცაგერი, ბორჯომი, ლანჩხუთი, წყალტუბო, ონი, ზესტაფონი, სენაკი, დუშეთი).

## **წარმატება**

- ქონების რეგისტრაციის მიხედვით საქართველო მსოფლიოში კვლავაც ერთ-ერთი საუკეთესოა. Doing Business-ის რეიტინგში ქონების რეგისტრაციის მიმართულებით 189 ქვეყანას შორის საქართველო პირველ სამეულშია, ხოლო ყველაზე ხელსაყრელი პირობები ბიზნესის დასაწყებად - ამ კრიტერიუმით Doing Business -ის რეიტინგში საქართველო მსოფლიო ქვეყნების ტოპ ათეულშია.
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების რეგიონულ კონფერენცია-კონკურსზე (GITI 2015) ორი ჯილდოს მფლობელი გახდა. ნომინაციაში - "საუკეთესო რეგიონული მუნიციპალური ელ. გადაწყვეტილება" - საჯარო რეესტრის კადასტრისა და რეგისტრაციის სისტემის ინტეგრაციის პროექტმა გაიმარჯვა, ხოლო ნომინაციის - "საუკეთესო online საინფორმაციო წყარო" - გამარჯვებულად საჯარო რეესტრის ელექტრონული სარეგისტრაციო სისტემის პროექტი დასახელდა.
- „ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდი მსოფლიოში“ - საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ საქველმოქმედო მართონზე „ფრთები სიცოცხლისათვის-მსოფლიო რბენა - Wings For Life World Run - სპეციალური პრიზი მიიღო.

## **ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამა**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ „ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროგრამის“ 5 ბენეფიციარი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სკანირების ცენტრში დასაქმდა. ისინი საარქივო მასალებისა და სხვადასხვა დოკუმენტის ციფრულ ფორმატში გადატანის პროცესში იღებენ მონაწილეობას. 2014 წლიდან დღემდე, პროექტის ფარგლებში, სააგენტოში 9 ყოფილი პატიმარია დასაქმებული.

## **სოციალური პროექტები**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციისთვის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს. სააგენტო მუდმივად ცდილობს ქართული საზოგადოების ცხოვრებაში თავისი წვლილის შეტანას.

- **პროექტი „გენდერი და საკუთრება“**

დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელიც საკუთრების განაწილებისას გენდერული თანასწორობის პრინციპების და თანაბარი უფლებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ისახავს მიზნად. რეგიონების მოსახლეობასთან შეხვედრები, საინფორმაციო კლიპები, ბროშურები და ბუკლეტები -

მოქალაქეების ინფორმირებულობის გაზრდას, ქონებრივი უფლებების სამართლიან რეალიზებას, ქონების გადანაწილების პროცესში ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს.

- **პროექტი „თანაბარი შესაძლებლობები ყველასათვის“**

დაიწყო პროექტი „თანაბარი შესაძლებლობები ყველასათვის.“ ეს პროექტი სააგენტოს სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას გულისხმობს. უსინათლო და მცირედ მხედველი ადამიანებისთვის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ყველა სახის წერილობითი დოკუმენტი, მოთხოვნის შემთხვევაში, ბრაილის შრიფტით გაიცემა. ამას გარდა, გათვალისწინებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა შესაბამისი ხმოვანი პროგრამის გამოყენებით, რითიც მხედველობის პრობლემის მქონე პირები ელექტრონული სერვისებით სარგებლობას და ინფორმაციის გაცნობას მარტივად შეძლებენ.

**ჩვენ ვზრუნავთ...**

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სოლიდარობის ფონდში თანხას რიცხავს (1200 თანამშრომელი) და გადარიცხული თანხის რაოდენობა, ჯამურად, 33 000 ლარს შეადგენს.
- ლეიკემიითა და სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად, დიტო ცინცაძის საქველმოქმედო ფონდთან თანამშრომლობს.
- 13 ივნისის სტიქიის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა თბილისის სამაშველო-გაწმენდით სამუშაოებში, სტიქიით დაზარალებულთა მატერიალურ დახმარებაში, სტიქიით დაზარალებული ბავშვების საზაფხულო არტ-სკოლის „ღია წრის“ საქმიანობის ხელშეწყობაში.
- საქველმოქმედო მართონზე - „ფრთები სიცოცხლისათვის - მსოფლიო რბენა (Wings For Life World Run) - მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდით წარსდგა.
- შეუერთდა აქციას „ერთად დავამარცხოთ C ჰეპატიტი“.
- დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეს შეუერთდა სოლიდარობის გლობალურ აქციას „ჩვენ ვირჩევთ თანასწორობას, დაცულ უფლებებს და ოჯახის თანადგომას“.
- შეუერთდა საერთაშორისო გარემოსდაცვით აქციას „დედამიწის საათი“ და ერთი საათით ყველა ტერიტორიულ სამსახურში ელექტროენერგია გამორთო.
- 22 აპრილს, დედამიწის დღეს, ტრადიციულად, თანამშრომელთა შვილების მიერ გარემოს დაცვის თემატიკაზე შესრულებული ნამუშევრების გამოფენა მოაწყო.

**სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია:**

- განახლდა სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), რომელიც უფრო მეტად მომხმარებელზე ორიენტირებული გახდა.
- შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა ახალი შიდა საინფორმაციო გვერდი - თანამშრომლებს შორის ინფორმაციის გავრცელების სწრაფი და კომფორტული საშუალება.
- სააგენტოს ოპერატორები „ცხელ ხაზზე“ 20 000-მდე მოქალაქეს მოემსახურნენ.
- სახელმწიფო სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან სტაჟირება 15-მდე სტუდენტმა გაიარა.

**სტატისტიკა:**

- დარეგისტრირდა 44 919 ახალი სამეწარმეო სუბიექტი.
- წარმოებულია უძრავ ქონებაზე უფლებების 679 687 რეგისტრაცია.
- წარმოებულია მოძრავ და არამატერიალურ ქონებაზე უფლებების 60 634 რეგისტრაცია.

- განხილულია 6 207 ადმინისტრაციული საჩივარი/განცხადება, რომელთა შესრულების პროცესში მომზადდა 15 047 კორექსონდენცია.
- 550 საქმეზე ჩატარდა ზეპირი მოსმენა.
- 61 საქმეზე ჩატარდა მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერება.
- 247 საქმეზე ჩატარდა აუდიენცია დაინტერესებულ პირთან.
- დანიშნულების ცვლილების საკითხებზე მომზადდა სხდომების ოქმები 1 525 მიწის ნაკვეთზე (დადებითი გადაწყვეტილებები - 631 ნაკვეთზე, უარყოფითი - 894 ნაკვეთზე).
- გაიმართა 2620 სასამართლო სხდომა (სააგენტოს სასარგებლოდ მიღებულ იქნა 332 გადაწყვეტილება, მოქალაქის სასარგებლოდ მიღებულ იქნა 77 გადაწყვეტილება, ნაწილობრივ მოქალაქის სასარგებლოდ მიღებულ იქნა 96 გადაწყვეტილება).